

Երեւան

Կենտրոն. Երևանի շրջանը,
պատկերված էրևանի քաղաքի
և նրա շրջանների վրա
կապույտ լանդշաֆտով

№ 12 ԵՐԵՎԱՆԻ ԱՎԱՆՈՒՄԻ ԿԵՆՏՐՈՆԻ ԱՄՈՒՆՈՒՄԸ ԵՎ
ՆՈՒ ԸՆԹԵՆՈՒ ԿԱՊԵՐՈՒՄԸ ԵՐԵՎԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆԻ
ՄԱՍԻՆՈՒՄԸ ԿԱՊԵՐՈՒՄԻ ԱՎԱՆՈՒՄԸ ԵՐԵՎԱՆԻ
1961

579
1961/3



„პ რ ი მ ე რ ი 2“



ბავშვებო, თქვენ აღბათ ქუჩაში ბევრჯერ გინახავთ, პატარა ბიჭუნები თუ გოგონები ჯართს სკოლაში რომ ეზიდებიან. პიონერების მიერ შეგროვილი ჯართით თბილისის ვლადილანშენებელ ქარხანაში დამზადეს მშვენიერი ვლადილან—„პიონერი 2“. იგი თბილისელმა პიონერებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას მიუძღვნეს.

ვინ იცის, რამდენ თქვენგანს გააქრლევს ასეთი ვლადილანები და რამდენ პატარა მგზავრს გაუზარებს გულს ეს შესანიშნავი საჩუქარი.



აი. რად გვიყვარს ჩვენი პარტია



ჩვენ ვაძობთ — ლენინს
და მკულისსძობთ მუდამ პარტიას,
ვაძობთ — პარტიას
და მკულისსძობთ: ლენინი ჩვენი.

3. შაიკოშვილი

ჭკუთავს ლენინის აზრით
და აღმასივით
არ იღუწება,
უძლეველია ქარიშხლივით
აზვირთებული მისი ბუნება.

ბ. ლაშვილი

ასჯერ ჭირნასულ თავისუფლების
საშვილიშვილო სსივი გვარტყია;
ჭეჯავის ქალაქი, ჭეჯავის სოფელი —
აი, რად გვიყვარს ჩვენი პარტია.


ი. აბაშიძე

კომუნისშია მიზანი ჩვენი,
გობრძეით და ვაჭრობით შეუპოვებები,
მაგალითს გვაძლევს პარტია ბრძენი
სურთომთმძღვარი ჩვენი ცხოვრების.

ა. შიშხულაძე

არის დიდი პარტია ჩვენი,
გვინათებს წარსულს, აწმეოს და
მუობადს
და მის უძლეველ დროშაზე მღერის
საღმთა მშვიდობა და საღმთა ძმობა.

ბ. შაჩუაბანი



8513

ქანქიკა და გოჭანჭუკი

— გოჭანჭუკო, რას აკეთებ? —
მაჭვ ახალწლის სამზადისი,
სტუმრებს უნდა დავაბედრო
სუფრა მათი საკადრისი!



4 სექტემბერი

ბებო ყოველ ახალ წელს ასწრებდა ადგომის პატარა თინას. წმინდებოდა, თუნუქმოჭედლო სახურავს ახლიდა სივრცის, იქიდან ამოიღებდა წურმბეღებსა და ტკბილიცვრის, სასიომალთან დაუწყობდა კულრაკა გოგონას და გეტყობდა: — მომილოცნია ახალი წელი, ჩემო თინო!

თინა ბებოს მოგებვოდა და სულ კისკიებდა და კისკიებდა.

მაგრამ ამ ახალწლის ღამეს ბებომ ყველაზე გვიან დაიძინა, თინას ღვდასთან ერთად სამზარეულოში ფუსფუსებდა. აღბათ ამიტომ იყო, რომ დილით

ბებოს ბეწვლო

ნახტი 3. არსებობს

აღრე ვეღარ გაიღვიძა. სამაგიეროდ თინამ უღენია ვაჭკიტა თვლები. ბებოს ტკბილად ღვინა. გოგონა სწრაფად ვაღმობტა საწოლიდან, სივრთთან მიტყუნულდა, თავი ახადა და იქიდან წერმბეღები და ტკბილიცვრი ამოიღო.

ბებოს კვლავ ტკბილად ღვინა. შერთვილულ ფანჯრიდან მტრედისცერი დილა იტყობებოდა.

თინამ წურმბეღები და ტკბილიცვრი ბებოს სასთუმალთან დაუწყო, მერე დაიხარა, მიხუცს აყოცა და ხასხურბოდა:

— მომილოცნია, ბებო, ახალი წელი. მომილოცნია!



გვახარებდ შენებით
და მშვიდობის სარდლობით, —
ბუელი წელი წაიდა,
გაუცვილუო მადლობით...

და ჰა, ბირმბენიერი,
დაჟიოთ და ნადართო —
შობიანუებს ამაჯგ
წელიწადი ახალი.
მომაქვს ტკბილი ფიჭვები, —
„თისები“ და „ხუთები“,
ნაძუბი და ფიჭვები,
ცივები და გურგები,
წელიწადო ახალი,
კვლავ მშვიდობის მაღარო,
ბუერი, ბუერი სიციყო
უნდა ბაქუბებს ვახარო!
კვიღვარბოლო მბუელი,
მისი დაბა-სოფლები,
ტკბილი მსწაელებელი,
საჯარული მშობლები!
გვახარებდა შენებით
და მშვიდობის სარდლობით,
ბუელი წელი წაიდა —
გაუცვილუო მადლობით.
ვაბა, ევაბ, ახალ წელს —
გსუბი გადვიგებლოს!
გვახარებებთ იაროს!
სულ მშვიდობით იაროს!



ძია მიხა კალატოზია, კვიზის არის, მაგრამ ჯერ სიბერისა არა ეტობა რა. სულაც არ უძნელდება მართალი კვლევების აყვანა. სამუშაოზე ადრიადად მიდის და შინ სადამოს ბრუნდება. მამუკა ძია მიხას კისრზე შემოუფეხავს ხოლმე და შექვეყნება:

— ძია, მიაზე უღაპარი!

ძიაც დაიხვეწს, მუხზე ბიჭუნას და უყვება და უყვება ზღაპრის ან ძველ ამბებს. ხანდახან ხდება, რომ მიხა ურითაც ისტუმრებს მამუკას:

— გამანებე თავი, გაჯაგრებული ვარ! იმ უქანარა ბიჭებმა განაწვალეს, — ჩიობდა ხოლმე კალატოზი მიხა ავტრის მიმწოდებელ ბიჭებზე.

მამუკაც უზუმრად მოშორდებოდა ძიას. ერთხელ ძია მიხა კარგ გუნებაზე დაბ-



გამხოვთ, მეწყობით, მეცობებიც, მიხაური, ვარეულა, ვაჭანები სუფრას ღლიან, მე ვახლავთი მხარეულა. მამად თქმნი მიხატოული ვაჭანური.



თანაგებნა

ურნა შინ. სახე სულ უღიმოდა. დაღლილს ადარ უჩიოდა. რაკი ძია მოხლებნილი ნახა, მამუკა გათამანდა, მუხლებზე დაუჯდა და ჰკითხა:

- დღეს არ გიმუშავიათ?
- როგორ არა, დღეს ბევრი ვიმუშავეთ.

— მამ, დაღლილი რომ არა ხარ?

— იცი, მამუკა, როცა ხელოსანს მასალას დროზე მიუმარჯებენ, როდი იღვება. წინათ ის ცუდლუბტი ბიჭები მაცდენდნენ. ძლიერპიჯობით ამოჰქონდით თოქშებულნი ვედროთი ავტრი და ქვიშა. ახლა კი რკინის მანქანა ამომავდის ხოლმე მასალას და სადაც გეუშობ, სწორედ იქ მომართმევს.

— იმ სიმაღლეზე რკინის მანქანამ როგორ უნდა ამოგიტანოს მასალა? — შეეკითხა გაკვირვებული ბიჭი.

— მშვენიერად! — ღიმილით უბასუბა მიხამ. — ის მაღალია, ათსართულიან სახლსაც კი ასწვდება. დაბლა რომ ჩაუშვებს ბატანს, ბიჭები აეცსენ ავტრით და სწორედ იქ ამოიგზავნიან, სადაც მე გეუშობ. იმ მანქანას ამწე ჰქვია.




— ძია, მაჩვენე ამწე, რა! — სთხოვა მამუკამ.

— ამწეს ნახავს რა უნდა, წაიყვანე რა შორის ის არის! ხვალვე წაიყვანე!

მეორე დღისა ძია მიხამ ხელი ჩაჰკიდა ბიჭუნას და გზას გაუღვნენ. როგორც კი მშენებლობის ადგილს მიუახლოვდნენ, მამუკამ უშალა იცნო ვეება ამწე, რომელსაც ნელ-ნელა მიიწვება მაღლა და ავტრით სახე ბატანს მეხუთე სართულზე ბუმბულითი შიაქანებდა.

— რა დიდა და მარტო ერთი კაცი კი მართავს! — აღფრთოვანებით შეცქეროდა მამუკა კაბინაში მჯდომ კაცს.

ბიჭუნას შორიდან ბევრჯერ მოუკრავს თვალი ამწეისთვის და რას წარმოიდგენდა, თუ ამოღნა მანქანა მისი საყვარელი ძია მიხას თანამშემვე გადებოდა.



ქრამი მოგია

4. შთავალი

მარხანდ მღვდელი შეწვია,
ქალთა განმეხი ნიღოთ,
შუალისის მისვლა,
შე კი შეკრულე დილით.

ოპ, როგორ მინდა ბუნ მუხებზე,
ღამე არ ივის ნეტზე,
ჩაქმინება ვიცი და
არ განადვილებს დედა.

ერთსა კითხოვ, წელი ახალი,
თუ ვერ გაუგებელ ლოვანს,
ან ცოტა დაიგვიანე,
ან უფრო ადრე მოდი!

მ რ ი

4. პასუხი

ღიზიანს ცაკვილივ, იგივი, რა მეს-
ცეა—ურის მიუშტოთი ერთი.

— იქნება ირი, იქნება ირი, — მივდი
დაღე კაიბახვი გოკონი.

მეგრამ რველში ღამხელ ვერ დავწერი
ღველებს და ირს ირინანი მიუწერი მასწე-
ღველებს.

— არა უმებს, ჟედიკო, — თქვა ღიზი-
კომ—ხვად ირს მიუშტოთი ხაში ცეუტს
ცაკვილივ.

— შერე—კაიხი ღვამ.
— შერე... იქნება ხოთი და ხეთიანს
დაიწერს მასწეღველებს!



ნ ე ბ ვ ი დ ს ტ ყ ე

1. პასუხი

ზამთრის არადეგები მიილია. გუნდაო-
ბით გუნდაჯერი ემწვილები ისე შერხებს
შემოუსხდენენ. აგერ, სოფლი მასწეღველ-
მაც შემოალი საქალსი ოთახის კარი, მიე-
სალმა თვის მისწეღველებს და ახალი წელი
მიულოცა.

— ჰვენივ გილოცავთ! — შესიტინეს გოგო-
ბიბემა და მერხებში ფაფური დაიწვეს.

— ეს ჰემი სასწეარია! — მიჩიხინა ნანამ
მასწეღველეთთან და მაგიდაზე პლასტილი-
ნის ნაძვის ხე მოკრალბით დადგა.

— უფურე, ამხაც ნაძვის ხე გიკეთე-
ბია! — უცმყოფილოდ წაიბურღლენა რეზომ
და ნანას „ნაძვის ხის“ გვერდით თივისი

ნაოსტარანი ნაძვიც დადგა. შერე კი სულ
წაუბდა ნირი, როცა მას წუცა მოკეცა, წუ-
ცას—ღმიგარი, ღმიგარის—ირინე, შემდეგ
სხვებიც.

მაღე მასწეღველბის მაგიდაზე „ნაძვის“
შოფი ტყე გაშენდა, რომელსაც სათამა-
შობის მაგიერ ნაირფერი პლასტილინის
პაწია სირისლაკები ამშვენებდა.

— პატივემული მასწეღველებლო, ნამ-
ღვილ ტყეა, შეზედეთ! — შესძახეს ბე-
შვებმა.

— პირი ხომ არ შექართო, ყველამ რომ
„ნაძვი“ გამოძერწეთ? — ღმილს ვერ იკა-
ცებდა მასწეღველებლო.

ნახატო კლ. გიორგიშვილისა

— არა, პატივემული მასწეღველებლო, —
წამოხტა ნანა, — ტელევიზორში ვნახეთ! ერ-
თი გოგონა ნაძვის ხეს ძირწედა თივის
მასწეღველბისათვის და თან ჩვენც გვიხნი-
და.

— მეც იქიდან ვისწავლი, მეც! — ამაურ-
ღენე ბავშვები.

— დაღი მაღლობა, ჰემო კარგებო, სა-
ჩუქრისათვის; მე მიხარია, რომ ისეთი ხელ-
მარჯვეები ხართ, აი, უფრო უკრალბი იქნე-
ბით, თუ გაზაფხულზე ასევე თითო-თითო
წერგს სკოლის ფერდობზე მივტანთ და
ნამდვილე ტყეს გავაშენებთ.

— გავაშენებთ, რატომაც არა! — დადგა
პირობა მისწეღველებმა.



ბუმ-ბუმი

1. კლარაში ნახატი ზ. კაპანაძისა

პატარა ფრანსუა შვიდი წლისაა. ქერათმიანი და წითელღაფება ბიჭი ყოველთვის ჩიტოვით მხიარულობს. მაგრამ ერთხელ ძალიან ავად გახდა; წვეს ახლა თავის პატარა საწოლში და არც დაპარაკობს, აღარც ილიმება.

— ხომ არაფერი გინდა, ფრანსუა?— ეკითხება ექიმი.

— არაფერი, — ჩუმად პასუხობს ფრანსუა.
— მოიფიქრეთ რამე, იქნებ ცოტა გამხიარულდეს ბიჭი! — მიმართა ექიმმა მშობლებს.

მამამ ნახატები და სათამაშო ჯარისკაცები უყიდა.

— ხედავ, ეს. გენერალი! მოგწონს, შვილა?

— არა, — პასუხობს ფრანსუა.
— იქნებ თოფი გინდა, ან ბურთი?

— არა, არა!
— აბა, რა გინდა, ჩემო ფრანსუა, მითხარი! — სთხოვს დედა.

— მე ბუმ-ბუმი მინდა, ბუმ-ბუმი! — წამოიძახა უცებ ბიჭმა და დოგინში წამოჯდა.

დედას ეწინაა გაუგებარი სიტყვისა, რას ამბობს ბავშვი, ნუთუ ბოდავს? ბავშვი კი ჯიუტად იმეორებს:

— ბუმ-ბუმი მინდა...

ვერაფერი მიხვედრიდან მშობლები. უცებ მამას ახსენებდა ფრანსუას სიცილი, როცა მან ცირკში ხუმარა ბუმ-ბუმი ნახა. — შავ კოსტუმში გამოწყობილი, გულზე დიდი პეპლით... მამა მიხვდა, ცირკის ხუმარას ნატრობს ბავშვი.

მაგრამ ფრანსუა ახლა ავად და ცირკში წაყვანა არ შეიძლება.

მამამ ბიჭუნას სათამაშო ტაკიმასხარა მოუტანა. ბიჭმა ცოტა ხანს უყურა, მერე უკმაყოფილოდ თქვა:

— ეს არ არის ბუმ-ბუმი. მე ბუმ-ბუმი მინდა!

მამის მამა ცირკში წავიდა და ხუშარა ბუმ-ბუმი მოძებნა. მამა მღვდღერბისაგან ქუდს ხედავს ატრიალებდა, შიშობდა, უარი თქვა არ გამისტუმროსო. ბოლოს გაბედა და უთხრა:

— მე მოვედი, რომ გთხოვოთ, ჩემი ავადმყოფი ბიჭი მოინახულოთ. რამდენიმე დღეა ავადა და სუდ თქვენ განატრობთ...

— სად ცხოვრობთ? — იკითხა ბუმ-ბუმმა.

— სუდ ახლს...

— წავიდეთ!

შინ რომ მივიდნენ, მამამ შვილს ახარა:

— ფრანსუა, ჩემო ბიჭუნა, აი, ბუმ-ბუმი მოგიყვანე!

ბავშვმა მიიხედა, მიესალმა უცნობს და მერე თავი უიმედოდ გადაიქნია:

— არა, ეგ ბუმ-ბუმი არ არის.

ბუმ-ბუმი ბავშვის ფერმკრთად სახეს დააკვირდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მართალია, მე ჯერ ბუმ-ბუმი არა ვარ... ახლავე! — და სადღაც გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მოულოდნელად გაილა კარი და ოთახში ნამდვილი ბუმ-ბუმი შემოვარდა: შავ კოსტუმში გამოწყობილი, გუბზე დიდი პეპლით!

ფრანსუამ გააბოკისკისა და სიხარულით ტაში შემოჰკრა:

— აი, ეს არის ნამდვილი ბუმ-ბუმი!

იმ დღიდან ფრანსუას სახლის წინ ყოველდღე ჩერება ეტლი, საიდანაც მზიარული სახის მამაკაცი გადმოდის. ეს ბუმ-ბუმი. იგი ყოველდღე დადის ფრანსუას სანახავად, რომელიც ეს-ეს არის გამოჯანმრთელდა.

ფრანსუულიდან თარგმნა ირ. თინათინა



სახეხი ქობანა

ა. ქობანიძე

ავერ, სახეხი ქარხანა და ჩვენი დიდი ხეხი, — მივედი, სტუმრად მივივლეს, სუდ დაგვატარეს ფეხით.

ჯერ ხეებს შეგაგორებენ, მერე აქვეყნენ ფიცარად: იქ ჩვენი დიდი მორგები და დიდი მუხა ვიცან.

იქ მითხრეს: დღესვე დავხეხავთ, მამა წაიღებს კიდეც, რომ ოდას გამოვუცვალდოთ აივანი და კიბე!

ჩვენი სახეხი ქარხანა მითუმ ხმაურობს მუდამ, რომ ბევრი სახლი შენდება, ფიცარიც ბევრი უნდა.

ნახატი პ. კლინიკილიძე

ბაკუნა

ი. პაჯუაშვილის

ნახატი ლ. ხახუაშვილისა

გელა სკოლიდან დაითხოვეს თუ არა, მამამ სოფელში წაიყვანა.

— ჩამოხვედი, შვილო? მოდი, გამახარე! — შეფეხება გახარებული პაპა შვილი-შვილს.

გელა ხელეგბამილი გაქანდა მოხუცისაკენ და კისერზე შემოეხვია. მერე დიდდელსაკენ გაიქცა.

პაპამ ბატკანი დაახვედრა შვილი-შვილს. ბატკანი პატარა იყო, თეთრი, ხუჭუჭა მატყლით შემოსილი. გელამ ბატკანს სიყვარულით ბაკუნა შეარქვა.

— აი, ეს ბატკანი, შვილო, შენთვის ჩამიბარებია, თვალი გეჭიროს, ქიშკარი ღია არავის დარჩეს, თორემ დაგვეკარგება.

მეორე დღეს პაპამ გელა დილაადრიან გააღვიძა:

— ადექი, შვილო, ბატკანს ეშიგება, ვენახში წაიყვანე და ღობის ძირებში ბალახი გამოაძოვე.



გელამ ფაციფუცით ჩიიცვა ტანსაცმელი, პირი დაიბანა, რძე დალია და ბოსლისაკენ წავიდა. თოკის წვერი ხელზე შემოიხვია, ეგონა, ნებით არ გაჰყვებოდა. მაგრამ როცა წინ გაუძღვა, ბატკანმა ერთი შეიკუნტრუშა და პატარა მწყემსს ბაკუნით აედღვნა.

რა კარგი იყო ვენახში! ნორჩი ბალახის, ვაზის ფოთლის და სიმინდის ღეროების სუნმა ბატკანი წახალისა, გელას ფეხებზე გაუძვრა და ვაზის ყლორტებისაკენ გაქანდა.

გელამ ძლივს შეაჩერა ბაკუნა და თითის ქნევით უთხრა:

— ციცი! ჩემო ბაკუნა, ეს კი არ შეიძლება.

მოშუადღეველა, ჩამოცხა. ბატანმა ბალობის წიწქნას თავი მიანება და აბლაღულდა.

„აღბათ სწყურია?!“ — გაიფიქრა გელამ და უმაღლ სახლისაკენ მოჰკურცხლა. ბატარა ქვაბურით წყალი მოუტანა და ახლოს მიუდგა. ბატანი წყალს დაეწაფა, მერე თითქოს გელას მადლობას უხდისო, დაიბლაღვლა და ღობის ძირას ჩრდილში მიწვა...

სალამოს პაპამ და ბებია მ გელა შეაქეს: — ყოჩაღ, ბიჭო, ეს რა კარგი მწყემსობა გცოდნიაო.

— როდის უნდა დაკლა ბატანი? — შეეკითხა პაპას გელა.

— როცა სტუმრები გვეწვევიან, შეილო, — მიუგო მოხუცმა.

— მალე გვეწვევიან სტუმრები? — წარამარა ეკითხებოდა გელა პაპას.

ერთხელ გელა და მისი ტოლი ბიჭი კომბაინის სანახავად მინდორში გაიპარნენ. ბაკუნაც უკან გაედევნათ. კარგად შებინდებული იყო, შინ რომ დაბრუნდნენ. პაპამ გელა დატუქსა, დაუკითხავად მეორედ ფეხი არსად გადადგაო, და მერე უთხრა:

— ამ ბატანს რაღას დაათრევ თან, დაგეკარგება და ღამე მგლეები შეჭამენ.

— პაპა, ჩემი ბაკუნა სტუმრებს არ შეაქამოთ, თორემ მე სამკლედ არ გავხდლი, — მიუგო ნაღვლიანად გელამ.

— რახან ასეა, ვინც უნდა მეწვიოს, შენს ბატანს არ დაუუკლავ! — დაამშვიდა პაპამ.

ქ. გოთიაშვილი

სახანრო სურვილები



ვით ნუ ხარ ენაჭარტალა,
არ დაჩაგრო შენსე უფრო პატარა.
ნუ იქნები შენ ვით ბრიყვი,



ონაუარი — როგორც ცყეში
ვით ქსიშარა ნუ იქნები,
სწავლა იყოს შენი საქმე, ფიქრები.



სიჯიუცე ვით ყოყონობა კარგია?!
იყავ გამრჯე, ვით ხუსუნა



და სიმართლე ყველას წირში უსახარი!

ნახატი ირ. არლიშვილისა

კიკუქი ბაკუთილი



მ. გვასალია ნახატები მ. უფსიშვილისა
ზღაპარი

დათვის ორი ბელი ჰყავდა: უფროსს ბანჯგვალა ერქვა, უმცროსს—დათუჩა.

ერთ დღეს დათვმა ვადახედა ბეღებს და გაიფიქრა: დროა, შეიღებს ჩემი ხელობა ვასწავლო, დავიღალე, აღარ შემძლია მათი რჩენაო.

მეორე დილას მან ადრინად გააღვიძა შეიღები:

— ბა, ძილისგუღებო, ადევით ჩქარა! გვეყოფათ გორაობა! დროა, თქვენს თავს მიხედოთ. გამომყევით,—თქვა და ბუნხავიდან გავიდა.

დათუჩა ყველაფერს უჯვრებდა დედას, ახლაც სწრაფად წამოხტა და ფეხდაფეხ გაჰყვა.

ბანჯგვალამ კი გვერდი იცვალა და ხერინვა ამოუშვა, დედის ნათქვამი თითქოს არც გაუგონიაო.

— იწვეს, რომ მოშივდება, ძალიან კარგად ადგება. ვნახოთ, რასაც მიირთმევს საუზმედ!—წაიბურტყუნა დათვმა, დათუჩა წინ გაიგდო და გზას გაუდგა.

ბანჯგვალამ ერთ ხანს იცადა, ეგონა,

მატყუებენ, უჩემოდ არსად წავლენო, მერე კი მარტობამ შეაშინა და ღრიალი მორთო.

დედა დათვის და დათუჩას ესმოდათ მისი ღრიალი, მაგრამ, ვითომც აქ არაფერიაო, უკან არც მოუხედავთ.

ბანჯგვალა კი ბურღღუნ-ბურღღუნით მისდევდა მათ ნაკვალევს და ბოლოს ძლივძლივობით დაეწია.

— რა გაღრიალებდა?—ჩაიცინა და-თუჩამ.

— რად აბრძანებულხარ, შეიღო, ძილი ვინ დაგიფრთხო?—ჰკითხა დედამ.

დარცხვენილი ბანჯგვალა ხმას არ იღებდა. დედა წინ გაუძღვა შეიღებს. გზაზე უცბად შეჩერდა, გარეული იხვის ბუღეს წააწყდა. ბუღეში ცხრა კვერცხი იღო.

— აი, ესეც მსუყე საუზმე!—გაეხარა და მას და შეიღებს დაუძახა.

ამის გაგონებაზე ბანჯგვალა ბუღესთან გაჩნდა. ის იყო, დააპირა კვერცხების შესანსვლა, რომ დედის თათმა განზე გასწია.

— ჰაი, შე ღორბუცელა შენა! დათვმა ბუღიდან კვერცხები ამოალა-





8573

გა: ოთხი კვერცი დათუჩას მისცა, სამი ბანჯგვალას და ორი კი თვითონ დაიტოვა.

— დათუჩას ოთხი კვერცი და მე სამი? — აბუზღუნდა ისევ ღორმუცელა.

დათუჩამ კი თავისი წილიდან ერთი კვერცი აიღო, დედას წინ დაუდო და უთხრა:

— დედა, აი, ახლა მეც სამი კვერცი მაქვს, შენც და ბანჯგვალასაც.

დათეს გაუხარდა შვილის საქციელი და ბანჯგვალას საყვედურით გადახედა. ყველანი დასხდნენ და ისაუბრეს. შემდეგ, კარგად გამოიძინეს თუ არა, დედამ შვილები მდინარისაკენ წაიყვანა.

— დათემა ყველაფერი უნდა იცოდეს: ნადირობაც, ცურვაც. რომ დასჭირდეს, მდინარეც უნდა გადასცუროს, — ერთხელ კიდევ დაარიგა დათემა ბელეზი და აზვირთებულ მდინარეში გადაეშვა.

მეორე ნაპირზე რომ გავიდა, ბეწვი დაიბერტყა და შვილებს გადმოსძახა:

— მშვიდობით, შვილებო! უკან აღარ ვაპირებ დაბრუნებას, აქ უფრო მეტი ნადირი და ფრინველია! ვისაც ვუყვარვარ, ჩემთან მოვა!

ბანჯგვალამ და დათუჩამ ყოყმანი დაიწყეს.

— არა! დედას ვერ მივატოვებ! — თქვა ბოლოს დათუჩამ და წყალში გადახტა. მდინარის ტალღებმა რომ გაიტაცა, თათები გაანძრია, თურმე ცურვაც ეს ყოფილა, და მშვიდობით გავიდა გაღმა.

დარჩა მარტო ბანჯგვალა. დიდხანს იბურღლუნდა, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია, ბოლოს ადგა და წყალში გადახტა. ცურვა ძალიან მოეწონა და მხიარულად გასტკობა მდინარე.

დედა დათეს გაუხარდა ბანჯგვალას ვაჟკაცობა, ერთი გულიანად ჩაიხითხითა და დაიძახა:

— აბა, მომყევით, შვილებო! უკანვე უნდა გავცუროთ! რა გვინდა ამ უცხო მხარეში?

გახარებული დედა დათვი წინ მიცურავდა და შვილებიც ხალისიანად მისდევდნენ უკან.



ამპარტავანი

(მულგარული არაკი)



ერთმა ღარიბმა გლეხმა ტყეში ფიჩხი მოაგროვა, ზურგზე წამოიკიდა და ქალაქში წაიღო გასაყიდად. ფიჩხი რომ არავის წამოსდებოდა, წარამარა გაჰყვიროდა:

— ეჰეი, ფრთხილად იყავით, ჩამოვდექით! გზა მომეციტო!

ამ დროს ერთი კაცი შემოხვდა. ეტყობა, ამპარტავანი იყო და გზა არ დაუთმო, ფიჩხი ტანსაცმელს გამოედო და გაუხია. გაბრაზდა ეს კაცი, მოსამართლესთან წაიყვანა გლეხი და მოითხოვა: ამ გლეხმა ტანსაცმელი დამიხია და უნდა მიზღოსო.

რა არა სცადა მოსამართლემ, მაგრამ გლეხმა კრინტი არ დაძრა, არც ერთ კითხვაზე არ უპასუხა მოსამართლეს.

— მუნჯი ყოფილა და აქ რას მოგყავდა? — ჰკითხა მოსამართლემ მომჩივანს.

— არ დაუჯეროთ, განგებ მოაქეს თავი მუნჯად! — შესძახა მომჩივანმა. — ფიჩხი რომ მოჰქონდა, ენა არ გაუჩერებია, ქვეყანა გააყრუა ყვირილით!..

— რაო, რას ყვიროდა?

— ეჰეი, ფრთხილად იყავით, ჩამოვდექით, გზა მომეციტო!

— ჰოო! რახან გაუფრთხილებიხარ, უნდა გზა დაგეთმო, — უთხრა ამპარტავან კაცს მოსამართლემ და გაამართლა გლეხი.

თარგმანი დ. დეკანოზიშვილისა

ნახატი ლ. ხახუაშვილისა

ენის გასაჭები

მ წვანემ დაისხა თეთრი თავთავი თეთრ თითისტარზე თეთრად სართავი.

უ ზარმაზარმა ზარმა ზანზარით ზარმაც ბაზუნას დასცა თავზარი.



საჩუქრები

ბ. ჭიჭინაძე ნახატი ბ. კანღულაქიძე

საჩუქრები რომ გახსნეს,
 ატედა სიცილ-ხარხარი;
 თევზი ერგო უურცქვიტას,
 ფისოს—შაქრის ჭარხალი.
 შელაკუდა მელიას—
 ჩურჩხელა და კაკალი.
 ციუეს—ფიჭები თაფლისა,
 დათვის კი—ქათმის ბარკალი




უდაზე: სახალწლო გამაზუნე (ბავშვთა შემოქმედება)

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეჯია: ი. გრიშაშვილი, კ. ვოგიაშვილი, შაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიბარულაძე, ნ. უნაქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) ბაბოცხვის, ოცდაამთოთხმედი ფული შპსი 20 კპა

ტექ. რედაქტორი ირ. არღვიანი რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდება.

გამომცემლობა „ნაკადული“, გვიკისი მხარე: მხოცი, კუხნიონი პაპი. 81, ტელ. 5-37-38, გამომქ. შტა. № 570, სტამბის შტა. № 2844 ტარაგი 28000 ხელმოწერილია დასაბამად 17/X 1961 წ.

დ. ი. ა. — «жизненный детский журнал ЦК АКСМ Грузии и Республиканского совета организации «юнг пионеров им. В. И. Ленина № 12 декабря, 1961 г. Тбилиси, просп. Плеханова 91.



საახალწლო გამოფენა

1. „რაკეტა მიდის შთვარისაკენ.“ ნახატი გია ჭანტუაიასი, 8 წლის. ლანხუთი.
2. „ნაძვის ხესთან.“ ნახატი ვენია ბიზილაშვილისა, ყვარლის საბ. ბაღის აღსაზრდელი.
3. „თოვს.“ ნახატი მარინე ივანიშვილისა, 7 წლის. ლაგოდეხი.
4. „პეიზაჟი.“ ნახატი მანანა ღონღაძისა, 6 წლის. თბილისი.
5. „ზამთარი.“ ნახატი თეიმურაზ ჯგერძისა, 10 წლის. ქუთაისი.
6. „ზღვა.“ ნახატი გია ახვლედიანისა, 6 წლის. თბილისი.
7. „მშენებლობა.“ ნახატი ვალოდია იშერისა, 7 წლის. თბილისი.
8. „მოტოციკლეტისტი.“ ნაძვრწი ზურაბ ნადირაძისა, 5 წლის. თბილისი.